საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-20-03/1699
22/05/2020

1699-გ-20-03-2-202005221510

შპს „სისტემ ნეტს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 28 მაისს 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოსამზადებელი სხდომა შპს „სერვისბოქსის“ საჩივრის (შ-20-6/2698, 22.05.2020) განხილვის მიზნით.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

ამასთან, გიგზავნით შპს „სერვისბოქსის“ საჩივარს თანდართულ მასალასთან ერთად. გთხოვთ, მოსამზადებელ სხდომამდე წარმოადგინეთ თქვენი წერილობითი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზე შეტყობინებაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები აგრეთვე გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.gncc.ge). გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

დანართი: შპს „სერვისბოქსის“ საჩივარი (შ-20-6/2698, 22.05.2020) თანდართული მასალებით.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია